# თეატრი და ცხოვრება

1910 სათეატრო სალიტერ. კვირეული ჟურნალი № 8

1910 წ. კვირა ფასი 10 კაპეიკი 21 თებერვალი

3/95



ვლ. ალ.-მესხიშვილი

ურიელ-აკოსტას როლში დღევანდელი ბენეფისის გამო




1910 წ. კვირა | ფასი 10 კაპეიკი | 21 თებერვალი

**შინაარსი:** ახალი გამგეობის საზრუნავი, მეთაური; დრამატ. საზოგად. კრება; მომავალი მსახიობი, ... დადვაძისა; გოდება ლექსი. ი. მჭედლიშვილისა; ნუ დნები, ნუ ჭკნები!.. ნ. ლორთქიფანიძისა; ერთი გულიდან ამონათქვამ... ლევ. მეტრეველისა; სოფლის მმართველნი, გ. ფოცხოველისა; ტალღათა შორის, მთარგ. ს. გლახაშვილისა; ვ. გუნ... წერილი უმცროსი ამხანაგისა; ვ. თ. კომისარჟევსკაია, მერცხალისა; ბინდში ვეძებ, ლექსი გ. ტაბიძისა; ქართულ... თეატრი, Ro-Ben-ისა; და სხვ.

## ვ. გუნიას

ჟამსა უსაზღვროდ ალშფოთებისას,
ჟამსა გლოვისას და გოდებისას,—
ცრემლით ვასველებ ჩანგის ნორჩ სიმებს,
ემი მამულიც ჩემთან ქვითინებს.

ამ დროს ხმა მესმის მოხუც მებრძოლის,
გრძნობა მაღლდება, ცეცხლებრ ენთება;
იამამად, ხალხო, წმინდა აღთქმისთვის!..
კისკარი მოჰქრის!.. აჰა, თენდება!....

ს. შანშიაშვილი



დამსახურებული მსახიობ
დრამატურგი და რეჟისორი
**ვალერიან გუნია**
მისი ბენეფისის გამო ქუთ.
თეატრში 25 თებერვალს

## მამავ, ძვირფასო!

(ვალერიან გუნიას)

ვით ცისა ნამი ყვავილთა კრთოლე...
დაჰხარის უხმოდ გაბრუებული
და მის სიხარულს, იდუმალ ლტოლვ...
არა აქვს ბოლო, არც დასასრული!—

*
* *

ისეც ჩემს ლხენას არა აქვს ზომა,
მეც ვლაღობ უხმოდ, მამავ, ძვირფას...
და მეც არ ძალმიძს შენი ღვაწლ-შრ...
ენით გამოვსთქვა, ან დავაფასო!..

ი. გრიშაშვილ...

## 21 თებერვალი

**ახალი გამგეობის საზრუნავი.** ახალ წელს, ახალ გაზაფხულს, ახალ საქმეს ადამიანი სიხარულით ეგებება... ყოველივე **ახალი** კაცის გულს ახალისებს,—ჰხიბლავს!..

ქართ. დრამ. საზოგადოების ახალი გამგეობა, რომელიც არჩეულ იქმნა გასულს კვირას —14 თებერვალს— გვახარებს!

მაგრამ მხოლოდ **არჩევა** არა კმარა.. თუ მთელმა საზოგადოებამ, თუ ყველამ, ცოტად თუ ბევრად ჩვენის თეატრის გულშემატკივარმა, მხურვალე მონაწილეობა არ მიიღო ქართული თეატრის დაწინაურების საქმეში, დიდს ნაბიჯს ვერც ახალი გამგეობა გადასდგავს...

ახალს გამგეობას-კი მომავალში ბევრი და ძლიერ ბევრი საზრუნავი აქვს: უმთავრესად იმის ძვალ-რბილში გათქვეფა, რის წინამძღოლადაც მიიწვიეს და შემდეგ: ქართული თეატრის იჯარის გაძღოლა, დასის ხელმძღვანელობა, რეპერტუარის გაუმჯობესება, დრამატიული ბიბლიოთეკის გამდიდრება, საქართველოში სათეატრო საქმის გაერთსულოვანება, სცენის მოღვაწეთა შეერთება, დრამატურგ-ავტორთა უეჭველი ჯილდოს დაწესება, დრამატიულ კურსების მოწყობა და სხ.. ყველა ამას ანგარიში უნდა გაუწიოს საზოგადოებამ, მხარი მისცეს გამგეობას, რომ ამ უკანასკნელმა პირნათლად შეასრულოს ნაკისრი მოვალეობა...

ამასთანავე უნდა მოვიხსენიოთ, რომ ძველი გამგეობა მაინც და მაინც არც თუ ისე უსაქმოდ იჯდა, როგორც ჰგონიათ: ავად იყო თუ კარგად, საქმეს უძღვებოდა,—ანგარიშების გამოქვეყნება ყოველივეს ნათელს მოჰფენს,— მაგრამ ჩვენ ამას არ ვეხებით: ახალი გამგეობის ყურადღება გვინდა მივაქციოთ ძველი გამგეობის ორ გადმოცემულ საქმეს: პირველი— მსახიობთა ფონდს და მეორე — საქართველოს სცენის მოღვაწეთა სიეზდის მოწვევას, რომლის შესახები მოხსენებაც ჩვენის ჟურნალის მე-7-ე ნომერშია დაბეჭდილი... ეს ორი საგანი ფრიად საყურადღებოა — მსახიობთა ფონდის უკვე რაოდენიმე წლილია შეგროვილი და სიეზდის მოსაწვევად კომისიაც არის არჩეული. ამიტომაც ახალმა გამგეობამ ორივე ამ საკითხს შესაფერი ანგარიში უნდა გაუწიოს...

ქართულ თეატრის დღევანდელი მდგომარეობა ითხოვს მტკიცე და დაუზარელ მუშაობას,— დროთა ვითარებამ ბევრი წყლული აუჩინა ჩვენს სცენას, მაგრამ ამის განკურნება შეიძლება რიგიანის თაოსნობითა და საზოგადოების თანაგრძნობით..

ჩვენი თეატრის მდგომარეობა ითხოვს—ვინც-კი მას დასტრიალებს, ვინც-კი ჩვენის ხალხის წინმსვლელობა-გათვითცნობიერების საქმეზე ფიქრობს რასმეს, ვინც-კი მოწადინებულია, ჩვენც ადამიანად ვიხსენიებოდეთ კაცთა შორის, ერთხელ და სამუდამოდ უნდა უარჰყოს ქვებუდანობა-ინტრიგობა კულისებსა თუ საზოგადოებაში, ჯიბრი, გაუტანლობა, დაუდევრობა, გულცივობა, პირადის მტრობით საქმის დაწიხვლა და გარკვევით, ნათლად გაითვალისწინოს, რომ იგი იმ საქმის ასაღორძინებლად არის მოწოდებული, რომელიც ხალხში სინათლისა, ჭეშმარიტებისა, სიყვარულისა და უმაღლეს იდეათა გავრცელებას ემსახურება...

სალამა ახალს გამგეობას, მხნეობა და შეუდრეკელი მუშაობა საზოგადოების საკეთილდღეოთ და თავის-და სასახელოდ...

## ქართულ დრამატიულ საზოგადოების კრება

კვირას, 14 თებერ. სამეურნეო ბანკის დარბაზში კრებაზე გამოცხადდა 50-დე წევრი. კრების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა თ. ვას. მაჩაბელი. გამგეობის თავმჯდომარემ დაასახელა სამი საგანი კრებისა: 1, ანგარიში წარსული წლებისა; 2, გამგეობის 7 წევრისა და 3 კანდიდატის არჩევანი; 3, ახალ წევრთა მიღება და ამასთანავე განაცხადა, რომ გამგეობამ ანგარიშები ვერ მოასწროვო.

კრებაზე ზოგიერთი იმ აზრისა იყო, რომ რადგან ანგარიშები არ არის, ამიტომ დანარჩენი საგნების განხილვაც შეუძლებელიაო. ვლ. ალექსი-მესხიშვილი—თუმცა ანგარიშები არ არის, მაგრამ არჩევნები-კი უნდა მოხდეს, რადგანაც მარშალი ბრძანებს, თუ ახალი გამგეობა არ იქნება არჩეული, თეატრს სხვას გადავცემთო. თ. ა. გ. ბაგრატიონ-დავითაშვილი — თეატრის გამგებლობა ითხოულობს დიდს ხარჯს და ჩვენ არ შეგვიძლიან ამდენი ხარჯის გაწევა უმნიშვნელოდ. ვლ. მესხიშვილი—კომისია ავირჩიოთ და გამგეობამ მასთან ერთად შეადგინოს ანგარიშები. თავ. ნ. რ. ერისთავი—ჯერ უნდა გადაწყდეს, საჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როა თუ არა ქართული თეატრი? თუ საჭიროა,— მაშინ მსხვერპლიც უნდა შევწიროთ. იმ ანგარიშების მიხედვით, რომელიც მე ახლა ხელთა მაქვს, ქართულ თეატრს კარგა ბლომად დასჭირდება ფული და თავად-აზნაურობა დაეხმარება თუ არა თეატრს? უამისოდ საქმის წაყვანა შეუძლებელია. მარშალი თ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილი—დეპუტატთა საკრებულო ერთხმად მოწადინებულია დაეხმაროს ამ ფრიად სნჭირო საქმეს, თუ საქმის რიგიანი მოთავე იქნება. კომისია საჭირო არ არის, არამედ ახალი გამგეობა ავირჩიოთ, მასვე დავავალოთ ანგარიშების ჩაბარება და თუ ვერ ჩაიბარებს—გადადგეს. პეტრე მირიანაშვილი—ქართ. დრ. საზოგ. გამგეობა წესდების ძალით მოვალეა უპირველესი საქმე გააკეთოს—ჯერ დრამ. სკოლის დაარსება, შემდეგ ანტრეპრიზა. პ. სურგულაძე—ძველს გამგეობას დაევალოს სეზონი დაათავოს, სეზონის შემდეგ წარმოადგინოს ანგარიში, ახალი გამგეობა ახლავე ავირჩიოთ. ი. ზურაბიშვილი — და ზოგიერთი სხვანიც—მიემხრო ამ წინადადებას. ეს წინადადება მიღებულ იქმნა ერთხმად და კრება შესწყდა კანდიდატების დასასახელებლად.

მცირე მოლაპარაკების შემდეგ ბარათებით დაასახელეს კანდიდატები.

ახალ გამგეობაში არჩეულ იქმნენ:

ერისთავი, თ. ნ. რ. ერთხმად. მიქელაძე შ. ა. (36 თეთრი, 4 შავი), ლორთქიფანიძე ნ. მ. (28 თ. 18 შ.) ნახუცრიშვილი, დ. გ. (28 თ. 12 შ.) სარაჯიშვილი, ა. პ. (34 თ. 6 შ.) ქართველიშვილი, ნ. გ. (36 თ. 4 შ.) ტარსაიძე ნ. ა. (33 თ. 7 შ.),

**კანდიდატებად:** ალ. ბ. შიხინოვი, ნ. დ. ერისთავი ი. პ. პოლუმორდვინოვი

**სარევიზიო კომისიის წევრებად:** პ. გ. მამრაძე, დ. დუმბაძე, ალ. ნიკ. რატიევი.

კრებამ საზოგადოების საპატიო წევრად აირჩია კნ. ანასტასია ალექსანდრეს ასული მაჩაბლისა.

**პირველი სხდომა ახალი გამგეობისა** შესდგა დეპუტატთა საკრებულოში 15 თებერვალს. დაესწრენ თ-აზ. მარშალი თ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილი, ძველი გამგეობის თავმჯდომარის მაგიერი ბ. პ. ა. გოთუა, ახალი გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრნი. თავ. ნ. რ. ერისთავმა უარი განაცხადა გამგეობის თავმჯდომარეობისა და წევრობაზე. გამგეობაში შევიდა, როგორც პირველი კანდიდატი, ბ. ალ. ბად. შიხინოვი. ამ კრებაზე არჩეულ იქმნენ თანამდებობის პირნი: თავმჯდომარედ ნიკოლოოზ გიორგის ძე ქართველიშვილი; თავმჯდომარის ამხანაგად ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილი; ხაზინადრად ალოიზი ბადდანის ძე შიხინოვი, მდივნად ისევ დავით გიორგის ძე ნახუცრიშვილი. პ. ა. გოთუამ წინადადება შეიტანა—ახალმა გამგეობამ ახლავე მიიღოს საქმეო. გამგეობამ უარჰყო და დაადგინა—ძველს გამგეობას ეთხოვოს, ანგარიშები წარმოადგინოს 7-მარტამდე.

# გოდება

რა ბედნიერი, რა მხიარული
ვიყავი ტკბილი ბავშვობის ჟამსა,
არ მაღონებდა ცხოვრება ცრუ
და გიჟმაჟობა მიტკბობდა წამსა.
მაგრამ განვლო დრომ და გავიცანი
შავი ცხოვრების უკუღმართობა,
ჯვარზე აკვრია წმინდა მიზანი,
მეფეა ყველგან შური და მტრობა.
არ მაკრთობს ტანჯვა, ვებრძვი ცხოვრებას,
შრომა მახარებს, როგორც სიცოცხლე,
მხოლოდ მაშფოთებს ადამიანი—
ძმის გამყიდველი, ფლიდი, სულმოკლე.
საბრალო მივხვდი, კაცის გული
მოძრაობაა ჯოჯოხეთისა,
მარად ბოროტი აზრით აღვსილი
მოციქულია შავქვეშკნეთისა.
ლაქუციანი და გაიძვერა,
პირში ღვიძლი ძმა, პირში მდიმარი
და პირს უკან-კი ცრუ, მოღალატე,
გამყიდველია დაუნდობარი.
შემზიზღდა იგი, მასთან ცხოვრება.
დავშორდი ყველას და მივატოვე,
დავგმე თვით სატრფოც და ეს ვარჩიე:
შავ-ბედთან ბრძოლა და სიმარტოვე,

ი. [illegible]

# მომავალი მსახიობი

(გაგრძელება იხ. თ. და ც. № 7)

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან ერთად-ერთი დასკვნა შეიძლება გამოიყვანოს მკითხველმა: მსახიობი აუცილებლად მეტად საპატიო ადგილს დაიჭერს ჩვენს სცენაზე ასეთ პირობებში. ეს სრულიადაც არ არის საშინელი: მომავალი მსახიობი მთელი თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალ-ღონისა და გრძნობათა გასაძლიერებლად საჭიროებს მეტს თავისუფლებას, ვინმე მას ამ ჟამად აქვს. მეორე მხრით ინდივიდუალისტი—მსახიობის გაძლიერება ჩვენს სცენაზე სრულიადაც არ მოასწავებს ანარქიას, მსახიობთა აღვირ-წაშვებულობას. საუკეთესო გარანტია იმისა, რომ ასეთი არა-სასურველი სურათი თავისდღეში არ იქნება ჩვენს სცენაზე, — არის ის, რომ მომავალი მსახიობი მეტად სერიოზულად უნდა მოეპყრას თავის დანიშნულებას, და მაშასადამე, ყოველი მისი გამოსვლა შეგნებული, აწონ-დაწონილი, ღრმად მოფიქრებული იქნება.

ასეთს ინდივიდუალისტ-მსახიობთ უნდა აკავშირებდეს რეჟისორი, რომლის უმთავრეს დანიშნულებას ამ შემთხვევაში შეადგენს მსახიობის აღმა-ფრენის გაძლიერება. მაგრამ უმთავრესი რეჟისორი მომავალი მსახიობისა გრძნობა უნდა იყოს, არა ისეთი თეატრალური გრძნობა, რომელიც ამ ჟამად „უღვივის“ ხოლმე გულში ჩვენს მსახიობს, არამედ ისეთი, რომლითაც იგი თვითონ აღიგზნება და შემდეგ სხვას განაცხოველებს.

„აი, აქ—გულშია ჩვენი რეჟისორიო!“— გვითხრა ცნობილმა სიცილიელმა ტრაგიკოსმა დე-გრასომ*), როდესაც დასის რეჟისორის ნახვა მოვისურვეთ. ამითი მას უნდოდა ეთქვა, რომ მსახიობის უმთავრესი რეჟისორი გრძნობაა. ოთახში—მოფიქრება, გამოკვლევა, როდესაც გონება მოუსვენრად მუშაობს; სცენაზე-კი—თბილი გრძნობა, — აი, მომავალი მსახიობის დევიზი.

რეჟისორი საერთო კანვას გააბავს პიესის აღსასრულებლად, საერთო სურათს წარმოუდგენს ყველა მსახიობთ. იგი გაურკვევს მსახიობთ პიესის დედა-აზრს, აღნუსხავს პიესის უმთავრეს მომენტებს, რათა ყველა მსახიობს ნათლად დაანახვოს, თუ რა ყალიბში უნდა ჩამოისხას მათი განსაპიროვნებელი გმირი. ჩვენს სცენაზე ამ მოვალეობას ზედ ერთვის კიდევ სამხატვრო ნაწილი: დეკორაციების შეფარდება-შერჩევა, სცენის მოწყობა და სხვ., რომელსაც რუსეთისა და ევროპის თეატრში განსაკუთრებულად მიწვეული მხატვარი-დეკორატორი კისრულობს. ჩვენმა რეჟისორმა ყველაფერში ანსამბლი უნდა შეიტანოს სცენაზე. მომავალი მსახიობი გაცილებით გაუადვილებს რეჟისორს მუშაობას. იგი ამოჰქსოვს ფერადი ძაფით გმირის ხატებას, რომლის დახასიათებას იგი შეუფარდებს რეჟისორის მიერ გარკვეულს პიესის დედა-აზრს და განსაკუთრებულს ყურადღებას მიაქცევს ღირს-შესანიშნავ მომენტებს. ძნელი წარმოსადგენია,—ჩვენ არ უარვყოფთ ასეთ შემთხვევებს,—რომ კერძო მსახიობმა მთელი პიესის ინტერპრეტაცია შესძლოს ღირსეულად: იგი რეჟისორის წმინდა ვალია. ასეთ პირობებში ძნელია და მეტიც ლაპარაკი იმაზე, თუ ვინ უფრო ნიჭიერი უნდა იყოს: მსახიობი თუ რეჟისორი? აშკარაა, ისეთი მსახიობი, რომელიც თავის გმირის ინტერპრეტაციას რეჟისორს მიანდობს, მას გაჰყვება და გაექცევა თავისუფალს, დამოუკიდებელს აზროვნებას,—ასეთი მსახიობი ძნელად შეჰქმნის რაიმე დიდებულ ტიპს, ვინაიდან ამ შემთხვევაში იგი ველარ შეიტანს თავის პირად განძს გმირის დახასიათებაში, რაც მომავალი მსახიობის აუცილებელი პირობაა. ცოცხალი აზროვნების პატრონი — მომავალი მსახიობი ყოველთვის გაიტაცებს რეჟისორს თავისი ღრმა ინტერპრეტაციით, რომელსაც იგი შეუფარდებს, როგორც ზევითაც ვსთქვი, რეჟისორის-მიერ გარკვეულ დედა-აზრს. აი, ის პუნქტი, რომელიც უნდა აერთსულოვნებდეს მომავალ მსახიობსა და რეჟისორს. არაფერს ვამბობთ საქმისადმი საერთო სიყვარულის შესახებ, რადგანაც ეს უცილობელი ჭეშმარიტებაა, — აუცილებელი პირობა ნაყოფიერი მუშაობისა. მომავალი მსახიობის ზრდა-განვითარება და, მაშასადამე, ჩვენი სცენის ბედნიერი დღეც სწორედ ამ პუნქტიდან იწყება,—ჩვენ ეს ღრმათა გვწამს.

ჩვენ შეძლების და-გვარათ გამოვნასკვეთ მომავალი მსახიობის დანიშნულება და ზრდა-განვითარების გზა. ვცდილობდით, რაც შეიძლება, მარტივად წარმოგვედგინა ჩვენი შთაბეჭდილებანი. ამასთანავე არ ვივიწყებდით სამშობლო სცენას,—არა! მხოლოდ იგი გვქონდა სახეში, წერილს რომ ვწერდით. ამიტომაცაა, რომ ჩვენ განზრახ გვერდს ვუქცევდით მეტად თავისუფალს, გაბედულ დასკვნებს. შეიძლება მისაყვედურონ, რომ ყოველივე ზემოთ ნათქვამი არა ახალია,—ძველია. შეიძლება თქვან, რომ ის, რასაც ახალ მსახიობსა ვსთხოვ, სრული უფლებით მოეთხოვება თანამედროვე მსახიობსაც. სრული ჭეშმარიტებაა. მაგრამ ისიც მართალია, რომ ახალი

*) დე-გრასსო შარშან თავისი დასით, სხვა ქალაქთა შორის, ოდესასაც ეწვია. ჩვენ შემთხვევა გვქონდა დავმტკბარვიყავით დასისა და „კერძოდ“, დე-გრასსოს გრძნობით სავსე თამაშით, თუმცა იტალიურს მაინცა და მაინც ნაკლებად ვეწყობით, პიესა „იორიოს ასულ“-ში და „სოფლის პატიოსნება“-ში. სწორედ მაშინ გვითხრა ეს აზრი დე-გრასსომ პ. დ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწაულის აღმოჩენა სრულიადაც არ შეადგენდა ამ წერილის მიზანს. ჩვენი სცენის დღევანდელი მდგომარეობა უსათუოდ მოითხოვს ფხიზელს, გონიერს პრაქტიკულ ნაბიჯს და არა რაიმე ახალ სასწაულს შიგ გამეფებულ სენის ჩასაღრჩობათ. მართალია ისიც, რომ თანამედროვე მსახიობს ავიწყდება ზემოთ მოყვანილი პირობები და ნაკლებად აქცევს მათ ყურადღებას. აქ ჩვენ არ ვიძლევით ამის მიზეზებს — მარტოოდენ ფაქტს ვადასტურებთ. ამ დასტურის უფლებას-კი მათ მიერ შესრულებული პიესები გვაძლევს. თანამედროვე ვითარება ჩვენი სცენისა არაფერს სანუგეშოს არ გვეუბნება; წარსული ძლიერ ბნელია, რომ ჩვენი დაკმაყოფილება შესძლოს მან. მეორე მხრით, ყველა ერთნაირათ გრძნობს, რომ ჩვენ სცენას შველა უნდა. სად არის ხსნა? პასუხი ერთია: მომავალში, მარტოოდენ მომავალში. და ჩვენც ერთხელ კიდევ გავაფრთხილეთ იგი, რათა შემდეგში მეტი ზნეობრივი უფლება გვქონეს მოვსთხოვოთ ამ პირობათა აღსრულება. **პ. დადვაძე**



† ვ. თ. კომისარჟევსკაია

რუსეთის სახელგანთქმული მსახიობი ქალი გარდ. 10 თებ. ტაშკენტში. 17 წ. მოღვაწეობდა სცენაზე.

## ნუ დნები... ნუ ჰქრები!

გაზაფხული და ზაუხული მშვენივრად, ჯანმრთელად გაატარა პატარა ბავშვმა. მის სირბილს საზღვარი არ ჰქონდა. სხეულს დაღალვა არ ეტყობოდა. მაგრამ შემოდგომის ნესტიანმა დღეებმა ზამთრის გარედ სუსხმა და სახლში-კი დახუთულმა ჰაერმა დააღონა, დაასუსტა ბავშვი.

სახე დაუნაცრისფერდა. ღონე დაეკარგა. მოწყენამ შებოჭა. სათამაშოები არ ახალისებდა და უმიზეზოდ გულმოსული ამტვრევდა.

დადგა შობის დღესასწაულები.

შორს ეზოში ბავშვის გასამხიარულებლად მოყვარულმა აღმზრდელმა თოვლის ქანდაკებანი გააკეთა. თეთრის თოვლისაგან გამოქანდაკებული აღდგომა, შობა, ხარება საარაკო რამ იყო.

გახარებულ-გაკვირვებული ქალწულის ლოცვა ანგელოზის წინაშე; ვარსკვლავი გამოქვაბულის შესავალში; ბაგაში, კრავთა შორის მწოლარე ყრმა იესო და ირგვლივ მუხლმოდრეკილნი მოგვნი; ქრისტეს ჯვარცმა და ამაღლება ზეცად, — ყველაფერი ისე ცოცხლად ისურათხატებოდა, რომ ბავშვს სასოება მოევლინა. მოწყენა გაქრა... იმედი გამეფდა... ბავშვის გულში.

დილიდან საღამომდე სარკმელში გაიცქირებოდა ბავშვი.

ათასფრად იცვლებოდენ თოვლის ქანდაკებანი.

ხან მზის მკრთალი სხივი გადაკრავდა და აბრჭყვიალებდა, ხან ნისლი შემოეხვეოდა და რალაც ბურუსში გაახვევდა თითქოს სიზმარიაო; ხან მთვარის შუქი მოყვითლავდა სანახაობას... ყოველთვის-კი მშვენიერი იყო...

იყო!

ბავშვი იდგა და უცქეროდა.

მაგრამ აი გაზაფხულმა მოაწია ისევ. მზემ მედიდურად ამოყო თავი. რა თვალწარმტაცად შემოსა მთელი რიგი სურათებისა მზისა სხივებმა! რა შარვანდედი მოჰფინა შუბლს ირგვლივ ცად ამაღლებულს! ნამდვილს ვარსკვლავს დაემგზავსა ქაღალდისგან გამოჭრილი ვარსკვლავი.

დიდხანს ვერ გაუძლო თავის მშვენიერებას თოვლის ქანდაკებამ და იწყო დნობა. ცად ამაღლებულის ხელები ჯერ დაწვრილდა, დაპატარავდა და მერმე მოვარდა. ანგელოზების ფრთები გაჰქრა. თითქოს ტირილი დაიწყესო, ქანდაკებიდან ვარდებოდა მსხვილი წვეთები... სახეები აირია, აიშალა.

პატარა ბავშვი გულამოსკვნილი იძახდა:

ნუ დნები... ნუ ჰქრები!

ქანდაკებანი-კი ჰქრებოდენ და დნებოდენ.

ბავშვი ისევ კაეშანს მიეცა.

სევდი გამეფდა.

ნუ დნები... ნუ ჰქრები!

**ნ. ლორთქიფანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერთი გულიდან ამონათქვამი.

„მოგონების“ სურათზე.

ახლა ლაპარაკობს ჩემი გული.

ჩემი გული-კი მხოლოდ შენ ერთს გებაასება.

მე არა ვმღერი!—უმღერიან მხოლოდ მიწიერს.

მე ვამბობ მხოლოთ წყნარსა გალობას, გალობა მაღალს, შენ სადიდებელს...

მე შენ არ გეტრფი, არ შემოგნატრი, ვით ამ ქვეყნიურ ტურფა არსებას, მხოლოდ ვლოცულობ, მარად ვლოცულობ მე წმიდა გულით წმიდა სურათზე...

აღარ გადარებ მაისის დილას საამოდ გაშლილ უმანკო ვარდსა, თორემ მოწყვეტა მომენატრება... ჩემ ხელში დასჭკნება ჩემი ოცნება...

აღარ გადარებ შველს სიკოხტავით, არწივსა ამაყს, მაღლა მფრინავსა, თორემ დაჭერა მომენატრება, მით ჩემივ ხელით მოვკლავ ჩემ გულსა...

აღარ გადარებ ტურფა გაზაფხულს, მინდორსა და ველს აყვავებულსა: ყველა გახმება, ყველა გაჰქრება შემოდგომისა ცივ ქართა ქროლით და მათ დაჭკნობა ხომ მომაგონებს შენს დაჭკნობასაც, შენს შემოდგომას!...

არა, ამ ქვეყნად აღარ დავეძებ მე შენს სურათს, შენსა სიმვოლოს..

გულმა უპოვა ღირსი ადგილი თვის უკვდავ გრძნობას, თვალწინ ღვთაებას.

ის იქ დაგეძებს, სადაცა მეფობს დიდხან სიცოცხლე ან უკვდავება, სადაც ვერას დროს ვერღარ მოგწვდება ამ ქვეყნიურთა ძლიერი გრძნება.

აბა უყურე და თვითვე დასტკბი შენივ სურათით, ირგლივ გაშლილით:

მზე ჩაესვენა, მას თან გაჰყვა დღისა ნათელი.

ქვეყნის ნათელად დარჩა ღამე სიბნელის მფენი.

აგერ შორს წასულ მთა-გრეხილებზე მოსჩანს მწვერვალი მაღლად, ამაყად.

შუბლშეკრულია.

შავი ფიქრებით ეტყობა ღამეს დამსგავსებია,

მაგრამ ნუ სწუხარ!:

აგერ, უეცრივ თავს წამოადგა მას ბადრი მთვარე.

მოჰმადლა შუქი, გაჰფანტა ბნელი და გაახარა მწუხრი ქვეყანა.

ის ჯერ გვირგვინად დაეხურა იქ მაღალ მწვერვალს. შემდეგ-კი თითქოს განგების ხელით ჩვენსკენ ნატყორცნი.ბედნიერება ნათლის მფრქვეველი, ნათლის მთესველი მაღლა ცისაკენ ასცურდა ნელა.

რა მადლიანი, რა ნათელია!

თვით ბნელა გულსაც-კი ანათებს იგი...

რა წყნარი არის, რა ნაზი არის იმისი შუქი, მკრთალი ნათელი.

თავისებრ ნაზად ახარებს გულსაც და გახარებულს სულ თავბრუს ახვევს.

მიყვარს მე მთვარე!

მიყვარს იმიტომ, რომ ის შორს არის...

დედამიწას მოშორებული...

მიყვარს, რომ უხვად, დაუზოგავად მაფრქვევს თავის შუქს და კაცის ხელით გატყორცნილი ჭუჭყი, ტალახი მას ვერ მისწვდება, მის ნათელ შუქს შავ წერტილადაც ვერ დააჩნდება...

მიყვარს მთვარე! მიყვარს მთვარე!

სიწყნარისთვის!

სინაზისთვის!

სინათლისთვის!

სიშორისთვის!

და შენა ხარ ჩემთვის მთვარე!

მთვარე არის შენი სახე!...

მთვარე არის შენი სარკე!...

ახლა უყურე მეორე სურათს:

აღარც მზე სჩანს. აღარც მთვარე. არც ღრუბელნი ციდან ცაზე.

მხოლოდ ტურფა ვარსკვლავები ანთებულან მწვანე ცაზე; ნათელ ქვებად, ალმასებად მოჭედილან მის სივრცეზე: წყნარი სუნთქვა, სხივთა კრთომა გულს აღელვებს, ავსებს შვებით.

ვით წარმტაცებს, ვით ლამაზებს იმათ შევსტრფი, მათ შევხარი...

ვერ მივხვდები მათ არსებას!

ვერ მივსწვდები მათ სიშორეს!

მაინც ვეტრფი, თაყვანსა ვცემ ცის მშვენებათ დაუდარელთ.

ვარსკვლავებშიც შენა გხედავ, დედამიწის მოშორებით.

მათ ციმციმში, მათ კრთომაში შენი გულის თრთოლვას ხედვავ...

მრავალფერში, მათ სხივებში შენ მშვენებას ნაზად ვნერგავ...

სამფლობელოდ ცა მოგეცი, შესადარად ვარსკვლავები, რადგან ვიცი მათ სიცოცხლე არის უფრო შორი, გრძელი. არ ჰკვდებიან, არ ჰქრებიან ისე საწყლად, ისე სწრაფად, ვით ამ ქვეყნად მოვლენილი მშვენებანი, სიამენი...

ოდეს მზეც, მთვარეც შემოგვწყრებიან და შავ ფიქრებად შავი ღრუბლები ჩვენს დედამიწას გარს ეხვევიან, მაშინ ველარც მთვარეში, ვერც ვარსკვლავებში ველარა ვხედავ შენა წარმტაც სურათს, მაგრამ უზომოდ თაყვანისმცემი ეს ჩემი გული არა ლონდება და ღირსეულსა პატივისცემით უფრო ღირსეულს გიძებნის მხარეს:

მე სულ გაშორებ ხორციელობას მიწას, მთვარესაც და ვარსკვლავებსაც. მხოლოდ სულიერ არსად გარდგაქცევ და მით განიჭებ სრულს უკვდავებას.

იქ, უცხო მხარეს, მშვენიერ მხარეს მე ანგელოზად წარმომიდგები; ღვთის მოციქულად, კაცის მფარველად, წმიდა არსებად წარმომიდგები.

მასავით მკრთალი, მასავით ნაზი სადღაც შორს ცაში იქროლავ, იფრენ და შენ ფრთათაგან მქრალი ნიავი მეც ამ ქვეყნიურ შვებას მომივლენს.

მაგრამ მე შენთვის მაქვს უფრო უკეთესი მხარე, ძვირფასი ადგილი, რომელსაც ვერ ჩრდილავს შავი ღრუბელი და ვერც სიშორე მოქმედობს მასზე. ეს უცხო მხარე არის—გული.

ჩემი გული!

ცოცხალი გული!...

შენი სურათი ცოცხლად გადავრგევ ჩემ ცოცხალ გულში.

დღეცა და ღამეც, წუხილშიაც, სიცილშიაც, ფხიზლადაც და ძილშიც ის ჩემთან არის განუყურელად, სამარადისოდ.

მან დაიჭირა მთელი გული. იქ ადგილი აღარა აქვს შიშს. ანგარებას, ზნედაცემას, გათახსირებას.

შენ სურათში-კი ჰხარობს, ყვავილობს, იფურჩქნება მთელი სიმდიდრე, სიამაყე, სიფაქიზე, პატიოსნება და სიცოცხლისა სულმთამბერი შემოქმედება.

ჩემი გულიდან ვის შეუძლიან ამოჰგლიჯოს შენი სურათი!

ვერავის ხელი ვერ ჩასწვდება იქ იმის სიღრმეს!

ვერავის ხელი ვერ შეეხება მის სიწმიდავეს!.—

ვერცა სიცოცხლე, ვერც სიკვდილი მას ვერ მოსპობენ, ორთავე ერთად შეედრეგებ შენ ძვირფას სურათს...

მხოლოდ თვით შენ ერთს შეგიძლიან მის ამოგლეჯა.

და თუ ოდესმე მოგესურვება, მე შენთვის მარად ღია მაქვს გული...

ღია მაქვს გული! ამომგლიჯე შენი სურათი!

მას გამოჰყვება
ჩემი სულიც...
ჩემი სიოცხლეც...

**ლევ. მეტრეველი**



**ვლ. ალ.-მესხიშვილი** (რობერტის როლში)
დღევანდელი ბენეფისის გამო

# სოფლის მმართველნი

სცენა სოფლის ცხოვრებიდან

**მოქმედნი:**

**მამასახლისი.** 35 წლ. ოსი, საერობო დარაჯთაგანი. ჩერქეზლად.

**შამილა,** საერობო დარაჯი, 40 წლ.

**საერობო დარაჯნი,** უსიტყვოდ.

**ბოქაული,** 36 წლ.

**გლეხის ქალი.**

**გლეხები.**

მოქმედება სწარმოებს გორის მაზრის ერთ-ერთს სოფელში.

**სცენა:** სოფლის კანცელარია: შკაფი, მწვანე დაგლეჯილ მაუდ-გადაფარებული მაგიდა, რომელზედაც აწყვია სამელნე, კალმები და ქაღალდები; კუთხეში ხატი, შუაში სურათი, 3 სკამი, კედლის ძირზე ორი გრძელი სკამი, სკამზე ზის მამასახლისი, ყელზე ჯაჭვი ჰკიდია. მაგიდასთან ზის სოფლის მწერალი და სწერს.

**მამას.** (ოცნებით. ოსური კილოთი) მასა, მე მთარობის მამასახლისი ხარ, ბატონი 5 სოფლისა!.. რასაც გინდა—იმას იზამ!.. ნაცალიკმა ყველაფრის ნება მოგცა!.. დედას უტირებ, ვინც ცემს ბრძანებას არ შეასრულებს!... ვინც მოვინდომებ, ციმბირს ან არხანგელცკი გუბერნიაში უკრამ თავს, ჰაი, და ბრასტან!.. ხანძლის წვერზე ააგებ.. აბა ხმა ამოიღოს ვინმე!.. ყველაფრის ნება მაქვს!.. (ღიმილით) ძამაგირი ექვს თუმანზე მეტი, ისედაც ავგლეძამ.. ნალოგებიდან და ნედოიმკებიდან!.. საჭმელი მუქთი, თივა და ქერი მუქთი!., აბა ნუ მოიტანენ!.. აბა დაიწყოთ!.. (უძახის) სამილ, სამილ! აქ მოდი!..

**შამილა** რას ბრძანებთ?!.

**მამას.** გლეხები მოვიდნენ?

**შამ.** დიახ, აქ არიან!..

**მამას.** აბა ცქარა, ყველანი შემორეკე, საქმე ბევრი გავს (შამილა გადის, მამასახლისი დადის, ცდილობს ბრძანებლობის იერი მიიღოს; შემოდიან გლეხები. დოინჯით, თითქოს მამალსავებ დასაუვირად ემზადებოდეს) აი, თქვე ძაღლის წიწილებო, დქვენა რატო თავს არ მიკრავთ?!. არ იცით, ვინცა ხარ?!. (ზოგი გლეხი თავს უკრავს. მწერალი წამოდგება) ვერ გაიგეთ, რომ მთარობამ თქვენ მოსარძულებლად ჩამაყენა?!.. ისეთ ერთობას გაჩვენებთ, სიზმარშიაც არ მოგზმანებოდეთ!... აბა მალე მამეცით ყაჩაღები, სლაპიანები, ის ყბედი ძაღლები, სამოცდა ათი თუმანი ფული, თივა, ქერი, საწმელი!... გაიგეთ?!

**პირველი გლეხი** აქ ყაჩაღები არავინა გვყავს, აქედ არავინ დადის, შლაპიანებიც, დიდი ხანია, აღარ გვინახამს!,. სამოცდა ათი თუმანი საიდან უნდა მოგართვათ, რო აღარა შეგვანარჩუნეს-რა, შე დალოცვილო! თივა და ქერიც ძნელი საშოვარია!.. მალე პურიც აღარ გვექნება!..

**მამას.** (გაჯავრებით) უჰ, არამზადა!.. სე პადლეცო, სენა!.. მას ვინა კლავს კნიაზებსა და სახლებს სცარცვავს?! მას თქვენ თითონ ყოფილხართ ყაჩაღები!. ფულიც არა გვაქვსო!.. ამოდენა მოსავალი მოგივიდათ, არავის ღალა არ მიეცით, ქურდობთ და არა გაქვთ?!.. ვნახოთ!.. (საერობო დარაჯებს) აბა, ბიწებო, წაიყვანეთ ყაზახები და ყველა სახლს მოუთაროეთ!.. რაც ნახოთ—აქ წამოიღეთ... (უცებ დაინახავს უმაწვილს, წაავლებს ხელს და გამოათრევს ჯგუფიდან შუა სცენაზე) ერთი ამ ძაღლიწიწილს დახედეთ!... (წაავლებს თმაში ხელს) ცოციალისტობა დაიწყე, რომ თმა აგრე გაგიძელებია?! მე სენ გაცვენებ თამაშს!.. (იღებს ხანჯალს და სჭრის თმას, უმაწვილი იღმიჭება ტკივილისაგან) აღარ გაბედო, თმის დაყენება სე ვირო, თორემ ციმბირი იცი?! (იხედება აქედ-იქით. მერე წაავლებს მეორე უმაწვილს ხელს და იმასაც გამოათრევს) ჰო, სენ ხომ დიდი ხანია გიცნობ! კარგახანია სენი ძავრი მჭირს, სე პლუტო, სენა!... (ხანჯლით სცემს) სე ძაღლო, მითხარი მალე, ყაჩაღები სად არიან?!.. სენ ყველას იცნობ, იმათი ამხანაგი ხარ!.. აბა, მალე, სთქვი!..

**მეორე გლეხი** რა ვიცი, სად არიან, ან ვინ არიან!! ეს ერთი წელიწადია სოფლიდან არსად გავსულვარ და ჩვენს მინდორს არ გავშორებივარ.

**მამას.** არ იცი?! მას აბა ვნახოთ, როგორ არ იცი?!.. (სჩხვლეტავს ხანჯლის წვერითა, ხან ცხვირზე მიადებს ხანჯალს, მითომდა მოსაჭრელად) არც ახლა იტყვი, სე მასენიკო?!.. გაწამებ... თქვი მალე!...

**მეორე გლ.** ტყუილად ნუ მტანჯავ, არავის ვიცნობ, და არც ვიცი—სად ვინ არიან!..

**მამას.** როგორ ბედავ ასრე ლაპარაკს, სე... (სცემს) წაიყვანეთ, დაამწყვდიეთ ეს რაზბონიკი!.. (საერებო დარაჯებს გაჰყავთ გლეხი. მამასახლისი გატოფებული დადის) მალე ჭკვას გასწავლით და ცოლსვილს დაგიტირებთ... თქვე... (შემორბის დარაჯი)

**დარაჯი.** პრიტავი გიახლათ, გიბარებთ!

**მამას.** (მამასახლისი დაფაცურდება და თან ისწორებს ჯაჭვს. გლეხებს) ახლა კი სეირს გიცვენებთ!.. (გადის. მწერალიც თან გასდევს)

**პირ. გლ.** ეს რა დღეში ჩავარდით?! რა ვქნათ ახლა? ყველა გვლანძღავს, გვცემს, გვლეჯამს, აღარაფერი შეგვანარჩუნეს!.. ძაღლათაც არ გვაგდებენ...

**მეს. გლ.** ყაჩაღები და შლიაპიანები მოიყვათო, ჰმ...

**პირ. გლ.** საიდან უნდა მოუყვანოთ?! ყაჩაღებს ხომ ცარიელი ხელით ვერ დავიჭერთ და მქადაგებლებს ჩვენთვის რა დაუშავებიათ... რაც უნდა გვიყონ, არ გავცემთ. თანახმანი ხართ?!

**ყველა.** თანახმა ვართ, ისინი ჩვენი გულისთვის იტანჯებიან...

**პირ. გლ.** ყაჩაღებს თითონა სდიოს... სხვაგან ეძებოს...

**ყველა.** ძალიან კარგი!

**მეორ. გლ.** ოჰი-მე, ვინ არ გვიბარტყუნებს ჩვენ უბედურებს... ბარე ერთი წარღვნა მოსკდეს და გაგვიტანოს... (შემოდიან ბოქაული, მამასახლისი და საერ. დარაჯები)

**ბოქაული** (ხალხი თავს უკრავს, თითონ ამაყად დაუქნევს თავს) ეს რა მიგიქარავთ, რომ ჯერ მამასახლისი თავის თანამდებობას არც-კი შესდგომია და იმის პირველ მოთხოვნილებაზედ უარი გამოგიცხადებიათ?! იცით რისთვის დაგიყენეს ამისთანა მამასახლისი!? მაგან ჯკვა უნდა გასწავლოთ, მოგაქრისტიანოთ... თქვენ კი არ ემორჩილებით... მაშ ახლა ნახავთ თქვენ ყოფას!.. (მამასახლისს) აბა, მიხა, შენებურად დაიწყე!.. ჩემი მოწერილობა იმ დღესვე აასრულე ხოლმე, არაფერს დეერიდო, გაიგე?!..

**მამას.** რა თქმა უნდა, ბატონო, ყველაფერს გავაკეთებ... მე ვიცი, როგორც გაუსწორდები მაგათ! (უჩვენებს გლეხებზე)



**ვლ. ალ.-მესხიშვილი** (ლევანი) და **ბ. ავალიშვილი** (ქეთევანი). ვლ. ალ.-მესხიშვილის დღევანდელი ბენეფისის გამო.

**პირ. გლ.** ბატონო, მოგახსენოთ...

**ბოქ.** რა გინდა...

**პირ. გლ.** ფული ემ წუთას არა გვაქვს და...

**ბოქ.** (აწყვეტინებს გაჯავრებული) თქვე ვირებო!... არც ფული გაქვთ, არც იცით, ვინ და სად არიან ყაჩაღები, არც იმ ოხერ აგიტატორებს იძლევით, მქარცველებს ფარავთ! მებატონეებს გაჰყარეთ, არაფერს აძლევთ, სახლები დაუწვით, საქონელი და ავეჯი დაპარეთ, სახემწიფო გადასახადებს არ იხდით, და კიდევ სჩივით, ფული არა გვაქვსო?! (ხალხი ხმაურობს, ისმის სიტყვები: „უური დაგვიგდე, ბატონო, მოგახსენოთ“) ემ წუთას ხმა გაიწყვიტეთ, თორემ გაგაქრობთ!.. არაფრის გაგონება არ მინდა... სამუსაიფოთ არ მოვსულვარ თქვენთან. მოველი, რომ კომისიის დადგენილება გამოგიცხადოთ ღალების შესახებ და დღესვე სისრულეში მოვიყვანო!.. აბა მალე!.. ყველამ კარგად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცით, ვის რა შეაწერა კომისიამ და ამ საათში აქ მოიტანეთ... ჩქარა...

**მეორე გლ.** გვადროვეთ ბატონო, და მოგართმევთ, ახლა არა გვაქვს!.,

**ბოქ.** არა ვიცი-რა!... ნაბრძანები მაქვს, დღესვე აკრიფო, წადით, თავი ქვას ახალეთ, დააგირავეთ, გაჰყიდეთ რამე და მოიტათ. (ტაშს ჩაჰკრავს. ხალხი თავდაღუნული გაბრუნდება)

**მამას.** (ბოქაულს) ეს ისეთი ხალხია, თუ ორიოდე არ უთავაზეთ, არას მოიტანენ!.. ნება მამეცი ყაზახები წაიყვანო, და ყველაფერი გაიჩისტება!..

**ბოქ.** ძალიან კარგი იქნება, საქმეს შეუდექი!.. ჩემთვის მალე სადილი!

**მამას.** ყველაფერი მზათ გახლავთ, ემ წუთას მოგართმევენ!.. (გადის, რჩება ბოქაული და ერთი დარაჯი, ამზადებს მაგიდას სასადილოდ, ბოქაული დადის პაპიროზის წევით, ბოლოს დარაჯი გადის)

**ბოქ.** (დადის გაჩქარებული) ეხ, დასწყევლოს ღმერთმა ჩვენი სამსახური!.. გააკეთებ საქმეს, მადლობას არავინ გეტყვის!.. დროზე ვერ შეასრულე ნაბრძანებიო გიჯავრდებიან, გემუქრებიან სამსახურიდან დათხოვნით! (მელიასავით მოწიწებით შემოჭყეტს თავს მწერალი და შემოვა) აბა, რა გააკეთეთ?

**მწერ.** სოფელში გახლდით, ბატონო, სადილი შევუკვეთე, ქათმები დავაკლევინე, ღვინოზე გიახელი, მალე მოგართმევენ!..

**ბოქ.** სხვა... რა ამბავია?

**მწერ.** თქვენი დღეგრძელობა, ბატონო! მაგრამ ჩოფლის საქმე უფრო კარგად იქნებოდა. რომ აქედან სამიოდე კაცი მოგეშორებინათ... (აქედ-იქით მიიხედ-მოიხედავს) მთელ სოფელს ამტუტებენ, ბატონო.

**ბოქ.** ვისი ბრალია მერე? რატომ დროით არ შამატყობინებთ?

**მწერ.** დანოსით, კარგი არ იქნება...

**ბოქ.** სხვანაირად არ შეიძლება... მაინც ვინ არიან?

**მწერ.** ერთი აქაური ქვრივის შვილია, ქალაქში ნამყოფი, ექვსი თვეა აქ დატრიალდა და აქაურობა აამტუტა: სოფლის ფულებს ფლანგავთო, მამასახლისის კუდი ხარ და პრისტავის ლაქიაო... მეორე ჩვენი სოფლიდან გაძევებული დალაქის შვილია, სოფელი სოფელს შემოახეთქა, მთელ ამ ხეობაზე ბინა დაიდო, უნდა გაჩვენათ, რაც დედამიწაზეა, ათი იმოდენა დედამიწაში დაძვრება... ქალაქის პირველ კამიტეტის წარმომადგენელია...მესამე... (შედგება) ის-კი ცოტა ნათესავად მომხვდება, მაგრამ ცუდათ მომექცა, ვენახი შუაზე გადამიჭრა... არ გასაზდელი რამ არის...

**ბოქ.** მერე აქამდის რად იყავით გაჩუმებული...

**მწერ.** მხარ, არავინ მიჭერს, შენი ჭირიმე!.. (შემოდის დარაჯი, სადილს მიართმევს)

**დარაჯი** მობრძანდი, ბატონო, მიირთვით!

**ბოქ.** ოჰ, ყოჩაღ ბიჭო, (დაჯდება. გადაჰკრავს და სჭამს)

**მწერ.** მე მოწერილობას შევასრულებ.

**ბოქ.** ძალიან კარგს იზავ!... (მწერალი გადის)

**დარაჯი** ბატონო, ეგ ჩვენი მიხა ძალიან ყოჩაღია!... ისეთი ჟივილ-წივილია მთელ სოფელში! ისრე შეახურა ხალხი, რომ... თქვენი ბრძანება ახლავე შესრულდება!..

**ბოქ.** ყოჩაღ ბიჭო!... (თან იღუკმებს, მერე ღვინოს სვამს) აი მაგისთანა მამასახლისი მომწონს... კარგია!.. უბრძანე და ყველაფერიც მზად იქნება!..,

**დარაჯი** დიახ ბატონო! (დარაჯი გადის. ბოქაული ჭიქას ჭიქაზე გადაჰკრავს, პატარა ხანს უკან შემოდიან მამასახლისი და ორი დარაჯი)

**მამას.** ბატონო, სულ მააგროვე; ვისაც ფული არ ჰქონდა, საქონელი და ვეშჩი წაართვი და აქ ეზოში მოაგროვე! ამ საათში ტორგს დანიშნავ, მანამ-კი ეს ოთხმოც და შვიდი თუმანი ინებეთ... (აძლევს ფულს ხელცახოცით)

**ბოქ.** ყოჩაღ მიხა!.. აბა მალე, იქაც გაასწორე!..

**მამას.** ემ წუთას, ბატონო, ტორგს ახლავე დაიწყობ, ჩარჩებიც აქ არიან!.. (გადის)

**ბოქ.** (ედიმება) ასაკრეფი სამოცდა ათი თუმანი იყო აქ ჩვიდმეტი თუმანი მეტია... მაშ დანარჩენი... „ანონა-“ში (ხელებს იფშვნეტავს) აბა ერთი ვნახო, ეზოში რაღა ამბავია! (გადიხედავს ფანჯარიდან) ოხ, ბლომად მოურეკია საქონელი, დიდძალი ნარბევი მოუკრეფნია!... (იცინის მერე გადაჰკრავს ღვინოს და ისევ სჭამს) ყოჩაღ, მიხა, ყოჩაღ!..

**მამას.** (სცენის გარედ) სამი თუმანი—ვისა ეს ხარი?!

**ხმა** მე, აი ფული!..

**ქალის ხმა** შე ოხერო, ცხრა თუმნიან ხარს სამ თუმნად მიყიდი!..

**მამას.** ეგ დედაკაცი გააცუმეთ, თორემ?!..

**ქალის ხმა** არ მოგცემთ, თქვე ურჯულოებო, არ დაგანებებთ!.. ნება არა გაქვთ წაართვათ...

**მამას.** მომაშორეთ მეთქი, მალე!.. (ისმის ტირილი და ხმაურობა) ძროხა თუმანი ხალხო? აბა, ვის უნდა?—

**ხმა** მე!.. რაც საქონელია, ბარემ მე მომყიდე, მამასახლისო! თვრამეტ თუმანს მოგართმევ..

**მამას.** რაკი გულით გინდა, მოიტა 20 თუმანი, ვეშჩიც სენ წაიღე და გავათავოთ!..

**ხმა** ინებე, ბატონო, და ყაზახები გამაყოლე, რომ გზაში არავინ დამიხვდეს...

**ხმები** რა ულმერთობაა!.. ეს რა დღე გაგვითენდა!

**მამას.** გაჩუმდით, თორემ ზურგზე ბოლს აგადენთ... (ბოქაული იცინის)

**ბოქ.** აგრე მიხა, აგრე... ყოჩაღ!..

**მამას.** გარეკეთ ყველანი!. და ცხენები მალე!.. (პატარახანს უკან შემოდის ოთახში) ინებე, ბატონო, გაგათავე. (აძლევს ფულს)

**ბოქ.** ყოჩაღ, ყოჩაღ მიხა!.. აი, ეს ხუთი მანეთი შენი გასამრჯელო!..

**მამას.** გმადლობთ, ბატონო! (ბოქაული ფულს სთვლის. მამასახლისი თავისთვის ჩაილაპარაკებს) მაგას ჰგონია—რაც აკრიფე—მიიტანე. ეს ხუთი მანათიც მივუმატო!

**ბოქ.** (ფულს ჯიბეში იწყობს) აბა, უბრძანე, ცხენები მოიყვანონ!..

**მამას.** მზად არიან, ბატონო!..

**ბოქ.** ახლა-კი გავემგზავრები, თორემ დაგვიგვიანდება!.. (შემოდიან 5 გლეხი და ერთი მოხუცი დედაკაცი იხდიან ქუდებს და კრძალვით უყურებენ ბოქაულს)

**გლეხი** ბატონო, უსამართლოდ გადაგვახდევინეს მაგდენი ფული, ჩვენზე მაგოდენა არ იყო გაწერილი!.. ანგარიშის საქმე არ არის!.. აბა დათვალეთ?!

**ბოქ.** (გაჯავრებული) როგორ, თუ უსამართლოდ!.. მაშ ჩვენ მეტსა ვკრეფავთ და ჯიბეში ვიდებთ! ოჰ, თქვე, ბრიყვებო, მაგას როგორ მიბედავთ! (სცემს) არ გავიგონო მაგისთანა საჩივარი, თორემ სიცოცხლეს გაგიქრობთ. (მამასახლისს) აბა, ცხენები მალე!.. (გადიან ბოქაული და მამასახლისი. გლეხები თავ-დაღუნულნი დგანან)

**გლეხები** (დაღონებული) რა ვუშველოთ ჩვენს თავს!.. ვის შევსჩივლოთ?!.

**დედაკიცი** (გაბრაზებული) აი, შხამად გექცეთ და ცხვირიდან გედინოთ ჩვენი ოფლი. (შემოდის მამასახლისი და დოინჯით, ამაყად უყურებს გლეხებს, გლეხები დაღონებულნი სდგანან. შემოდის დარაჯი გაფითრებული)

**საერ. დარაჯი** მიხა! ჩვენი ნაჩალნიკი ქალაქში მოუკლავთ, ეს არის პრიტავს მოახსენეს, გაზეთშიც სწერია!- პრიტავმა შენთან დამაბარა და თვითონ ქალაქისაკენ გაეშურა!... (მამასახლისი, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, უყურებს ჩამოყრის, წელში მოიკაკვება. გლეხები წელში გასწორდებიან, თავს აწევენ, მამასახლისს ზიზღით უცქერიან).

ფ ა რ დ ა

გიორგი ფოცხოველი



**ედ. როსტანის** პიესის **„შანტეკლერი“-ს** ერთი სცენა. იხ. „თეატრი და ცხოვრება“ № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი მსახიობი

მოთხრობა

—

## ტალღათა შორის

I

ქალაქში არა ჩვეულებრივი მოძრაობაა; ყოველ კუთხეში თავისებური მზადებაა: ზოგან გარეგნობითი, ზოგან მოქმედებითი.

რიგი მიდის, რიგი მოდის; ერთმანეთში ირევიან და მოგაგონებთ ზღვას, რომლის ტალღები ერთმანეთს უერთდებიან და სალკლდეს ეხეთქებიან.

გარეგანის შეხედვით ეს მოსიარულე ზღვა ხალხი ერთი სულისა მოსჩანს, ყოველნი ერთ მდგომარეობით გეჩვენებიან; ხოლო, თუ დაუკვირდით, შენიშნავთ, რომ განსხვავდებიან, ვითა ზღვა ურიცხვ მდინარეთაგან და იგინი-კი ურიცხვ უცხო ნაკადულთაგან... ერთი ჯგუფი მეორე ჯგუფს მისდევს და არა აქვს დასასრული...

— „მეორე მხარეს გადავიდე“,—განივლო გულში, ამ ერთ ჯგუფში მოყოლილმა დარომ,— თორემ ამათან სიარული მე დამაგვიანებს... გამოერჩა ჯგუფს და სხვა მხარეს გადადგა ნაბიჯი...

— რა მიგაჩქარებთ, ქალო,—წინ გადაუდგა სათვალებით გამოწყობილი მინა ნაზარაშვილი,—განა დაგედევნათ ვინმე?—და ყოველთვის კანკალა გამჭკნარი ხელი დაროს გაუწოდა.

— ჩვენ, მსახიობთ, მხოლოდ რეცენზენტები გვდევნიან,—მოუჭრა დარომ წინ შეფეთებულს და ცივად ხელი ჩამოართვა.

— ნეტა მე ვიყო, რომ არ გდევნიდეთ, არამედ,—ინატრა ცბიერად და პატარა წვეტიან ცხვირზედ ოქროს ძეწკვიანი სათვალეები გაისწორა, თავის წვრილ კისრის წაგრძელებითა, ვით წერომ ტბაში თევზის დასაჭერადა.

— მე-კი მეგონა რეცენზენტობა სჯობია, რედაქტორობის მაგიერობას... — გადაჰკრა, მათრახი დარომა.

— თქვენ, როგორც გეტყობათ, ჩემზე გაჯავრებული ყოფილხართ... მაგრამ მესმის...

ეშმაკურად გაიღიმა მინამ; შემდეგ, ვითომდა გაკვირვებულმა, ვით ნაწყენმა, გაუშო დარიკოს ხელი, რასაც დარიკო არ ელოდა.

— ჯავრობა?! არ შეგვფერის ჩვენ... გესლიანის ღიმილით მიუგო, გვერდი აუხვია მოპირდაპირე მინასა და ცივად გამოემშვიდობა,—მშვიდობით, არა მცალიან...

— საითაც თქვენ—იქითაც მე.—უთხრა მინამა და, მიუხედავად დაროს გულცივობისა, მაინც აეკვიატა.

— ვერ მომყვებით...

— სცენაზე თუ ცხოვრებაში?—შეეკითხა მინა და სათვალეები ცხვირზე დაიმაგრა, რადგანაც აჩქარებულ სიარულში იქით მხარეს ტოკავდა, საითაც, კოხტაობით თუ ფეხის მოკლეობისა გამო, იხრებოდა.

— განა სცენაზედაც აპირობთ მოღვაწეობას? თუმცა თქვენ...

— ღმერთმა დაიფაროს! — წამოირუსულა მინამ. — მერე, ვინ შეუშვებს ჩემისთანა გონჯს?...

— როგორ!—გააწყვეტინა დარომ.—სახით თუ სულით?

— სულით?!...

შეკრთა მინა; არ მოელოდა, წარბი შეიჭმუხნა და, რა მოთმინებით ჯავრი ჩაიქდია გულში, შეუმჩნევლად განაგრძო:

— სული სცენაზე რა საჭიროა!...

— როგორ?! სული არ არი საჭირო სცენაზე? მერე, თქვენ, რედაქტორის მოადგილე?!...

— დიახ, დიახ!... სცენაზე საჭიროა: წარმოსადეგი ტანი, წვრილი წელი, მოყვანილი გულ-მკერდი, შავი თვალ-წარბი, კეკლუცი სახე, ფუნჩულა ვარდის ფერი ტუჩები, და თლილი ფეხები...

— მამაკაცისათვის, მაინცა და მაინც, რა საჭიროა თლილი ფეხები?

— მე ქალზე მოგახსენებთ. მაშინ აქვს ღირსება სცენას, როდესაც მსახიობი ქალი, თავის მშვენებით, სილამაზით ნათელსა ჰფენს...

— მაშ, უთუოდ, იმისათვის არ დაიარებიან ჩვენს წარმოდგენებზე...

— არა, იმიტომ კი არა, რომ ჩვენ სცენას აკლია ამისთანა დამამშვენებელნი სცენისა, არამედ ამ მშვენებამ არ იცის მოხმარება ამ სილამაზისა.

— მერე ვინ გეგულებათ?—შეეკითხა დარიკო ცდუნებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვისა?!—წამოიძახა მინამ და გადახედა პირზე ნერწყემორეულმა.—თქვენ!

ეს სიტყვა „თქვენ“ ისე ხელოვნურად უთხრა მინამ, გეგონებოდათ შეყვარებულია და ამით მოელის სიკვდილ-სიცოცხლესაო.

— იცით, თუ თქვენ რა შეგიძლიათ?— განაგრძო მინამ.

— თქვენ, რომ მოინდომოთ...

— რეცენზენტს გადარევთ!—ჩაერია წამოწეული ეკალა და შუაში ამოუდგა დაროსა და მინას.

ეს პატარა ცუგრუმელა ქალი, რომელსაც ნათლობისა მარიამი ერქვა, ხოლო სცენაზედ ამხანაგნი ეკალას ეძახდენ, უკან მოსდევდა და თვალ-ყურს ადევნებდა.

— შენ მიენდე ბატონ მინასა? უთხრა დარიკოს ეკალამ და ნაღველა-გადასხმულ ღიმილით გადახედა მინასა.—შენ მიენდე და ნახამ, როგორც დაგაფასოს. მთელს ჩვენ პატარა ქვეყანას შენზედ აალაპარაკებს. ოო, ამან იცის დაფასება.—გადახედა მეორედ გესლიანის თვალით მინასა.—მაშინ გადაათვალიერე ჩვენი გაზეთები და, არა თუ შენი სურათი, მთელი შენი სხივოსნობაც-კი მოათავსოს, ვარსკვლავს გიწოდებს; დიახ, ჩვენის სცენის ვარსკვლავსა. რას იზავ, ხომ იცი, ხელი ხელსა ჰბანს...

— აბა, რა ხუმრობაა.—წამოირუსლა მინამ, თითქოს მას არ შეეხებოდა.

— მე და ხუმრობა? — სთქვა ეკალამ და მინას მოაგონა — განა დაგავიწყდა შენი...

ამ დროს სწორედ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა მინა; თუმცა არას იმჩნევდა, მაგრამ საბრალო იყო...

— სადა ხარ ქალო!—მიმართა დარიკოს წინ შეხვედრილმა ანომ.—რეჟისორი ცეცხლს აფრქვევს...

— ვისზედა?—შეეკითხა ეკალა.

— თითქმის ყველაზე... შენ და მე, დარიკო, ხუთხუთი მანათი გვარგუნეს და სხვებს-კი სამ-სამი დაურიგეს; წადი და ამითი გაითენე დღესასწაული...

— შვიდობით ბრძანდებოდეთ!—

გამოემშვიდობა მინა, რომელიც ანას შეხვედრას უმადლოდა, ეკალას აქ ყოფნით კანი ეჯინჭრებოდა და დარიკოს მდგომარეობას-კი გულში იბეჭდავდა.

„ეს უკეთესი“... გაივლო გულში მინამ, გამობრუნდა, ჩაერია მოსიარულეთა ტალღას, რამაც შთანთქა რედაქტორის მოადგილე, ვითარც ნაფოტი ზღვისა ტალღამ.

ხოლო ჩვენი მსახიობი დარიკო-კი, მარტოდ მარტო შეუდგა თეატრის მაღალ კიბეს.

## ბრძოლაში ვეძებ...

ბრძოლაში ვეძებ თავ-დავიწყებას,
ბრძოლის ქუხილში მიილტვის სული.
ვერ ვუღალატებ საფლავთა მცნებას
ცხადათ და ძილში აღშფოთებული.
სამშობლო მხარევ! შენი შვენება
სისხლით ირწყვება და ილებება.

მოქანცულ გულით მეთაურები
წმიდა დროშის წინ ძირს ეცემიან
და მძიმე წყლულით დაღ-დასმულები
ისე, ვით უწინ, მშვიდათ კვდებიან!
ახალ გმირს ეძებს უკანასკნელი
მათი წუხილი და წმიდა გული.

ოჰ, ვისაც მწარედ აკვნესებული
გული გედაგვისთ კაეშან-სევდით,
ვისაც მრისხანედ გიტოკავსთ სული,
ჩემსკენ გამოსწით, შემომიერთდით!
თავისუფლების დროშა იხრწნება...
მაშ ცეცხლში ვპოვოთ თავ-დავიწყება...

**გ. ტაბიძე**

## ჩვენი მსახიობნი

**ვალერიან ლევანის ძე გუნია.** ხუთშაბათს, 25 თებერვალს ქუთაისის თეატრში ვალერიან გუნიას ბენეფისია.

ვ. გუნია ჩვენი სცენისა და თეატრის განვითარებაში იმისთანა სათვალჩინო ძალას წარმოადგენს, რომ ურიგო არ იქნება, უფრო ახლო გავიცნოთ ამ დაუღალავი და მრავალ-მხრივ გამრჯე მუშაკის წარსული.

ვ. გუნია დაიბადა 1864 წ. 9 იანვარს შეძლებულ ოჯახში. 1877 წლიდან სწავლობდა თბილისის რეალურ სასწავლებელში, საიდანაც 1882 წ. დათხოვნილ იქმნა „მავნე აზრებისათვის“. ამავე წელს გაემგზავრა მოსკოვს, სადაც თავისუფალ მსმენელად შევიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტროვის აკადემიაში. იმავე დროს აკვირდებოდა თეატრებსა და სწავლობდა დრამატიულ მწერლობას. მოსკოვიდან ხელმწიფე ალექსანდრე მე-III-ეს დაგვირგვინების წინ სხვებთან ერთად გაძევებულ იქმნა за неблагонадежность და სამშობლოში ჩამოვიდა...

თეატრი ბავშვობიდან უყვარდა. ჯერ ისევ რეალისტად იყო, რომ ქართ. თეატრის კულისებში დარბოდა. ვ. აბაშიძეს, კ. მესხს და ლ. მესხიშვილის არა ერთხელ დაუთხოვნიათ კულისებიდან „აბეზარი ვალიკო“ და მისი ამხანაგი კოლა (თ. ნ. დ. ერისთავი).

ქართული ენა თეატრმა შეაყვარა, ხოლო თვითონ ქართული ლუკა თარხნიშვილის ოჯახში შეისწავლა. მოსკოვში ყოფნის დროს უკვე თარგმანები დაიწყო. „ედმონდ კინი“ და „ქრისტეფორე კოლუმბი“ იქ გადასთარგმნა; თვრამეტი წლისამ პიესაც-კი დასწერა „უკანონო შვილი“, რომელიც წარმოადგინა ალ. ყაზბეგმა არწრუნისეულ თეატრში. აქედან იწყება მისი მეგობრობა სანდრო ყაზბეგთან.

1883 წ. შემოდგომაზე ვ. აბაშიძემ პირველად გამოიყვანა სცენაზე ისა და დათიკო აწყურელი. ორივეს ერთსა და იმავე დღესა ჰქონდათ დებიუტი. ითამაშა პირველად „მეფე და ხუცი“, მეორედ „ექიმი რობენი“, და მე-5-ე მოქ. შილლერის „ყაჩაღებიდან“. საზოგადოებამ ამ ყმაწვილ კაცს ყურადღება მიაქცია. სცენაზე მუშაობა ურჩია ცნობილმა რეჟისორმა მიხეილ ბებუთოვმაც. ბოლოს ვ. აბაშიძემ დაიახლოვა ახალგაზდა ვალიკო და თავის თანაშემწედაც გაიხადა თეატრის საქმეში.

ამ ხნიდან იწყება ვ. გუნიას გამუდმებული, დაუღალავი შრომა ქართულს თეატრში, როგორც მსახიობისა, ისე ადმინისტრატორისა, რეჟისორისა, განსაკუთრებით-კი როგორც დრამატურგისა. არც ერთს ქართველს მწერალს იმდენი პიესა არ შეუძენია ჩვენის თეატრისათვის, რამდენიც ვ. გუნიამ შესძინა. მისი ნათარგმნი, გადმოკეთებული თუ ორიგინალი პიესები რიცხვით 50-ს აღემატება, მომეტებული მათგანი სარეპერტუაროა და ხშირად იდგმება ყველა ჩვენს ქალაქსა და დაბაში... სოფელშიაც-კი, სადაც სცენის მოყვარენი მუშაობენ.

ვ. გუნიამ პატარობიდანვე დაიწყო წერა ჟურნალ-გაზეთებში. 1884 წლიდან განსვენებულმა ილია ჭავჭავაძემ დაიახლოვა და მის ხელმძღვანელობით სწერდა „ივერია“-ში რეცენზიებსა და კრიტიკულ შენიშვნებს „ვალიკო-ია“-ს ფსევდონიმით. იგი ყველა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში იღებდა მონაწილეობას და ბევრი საკუთარი გამოცემანიც ჰქონდა, სადაც ახალგაზდებისათვის მუდამ ღია იყო კარი.

საზოგადოდ ვ. გუნია ახალგაზდების მუდმივი მოკეთე და გულწრფელი მეგობარი იყო. იმის ხელმძღვანელობით უკვე ბევრნი არიან გამოსულნი საზოგადო ასპარეზზე. სხვათა შორის, პირველად ჩვენში იმან მოახერხა და მოაწყო ეგრედწოდებული გამოსაცდელი წარმოდგენები, რომელთაც ჩვენს სცენას შესძინეს: ნინო დავითაშვილი, ოლგა ლეჟავა, ბარბარე რონდელი, ალექს. იმედაშვილი, ნიკო გვარაძე და კიდევ ბევრი სხ..

ვ. გუნია ჩვენში, ნამეტნავად თეატრის ასპარეზზედ ერთად ერთია, რომელსაც „სიბერე“ არ ახლავს, მუდამ ბეჯითი და გამბედავი, გამრჯე და გატაცებული, იგი სხვებს იტაცებს და ახალისებს საქმეზე. დიდი ინიციატივისა და რწმენის პატრონია და ვერავითარი დაბრკოლება ადვილად გულს ვერ გაუტეხს.

არ არის ქართველებში ისეთი საქმე, რომელშიაც „ჩვენს ვალიკოს“ ახლო მონაწილეობა არ მიეღოს. სწორედ გასაოცარია მისი დაუცხრომელი ენერგია და შრომის მოყვარეობა ყველგან და ყველაფერში. „მოსვენება მხოლოდ მკვდრებს შეჰფერის, ცოცხლებს-კი გარჯა და ტანჯვაო!“ ხშირად გაისმის ხოლმე ვალერიანის ბაგეთაგან.

როგორც მსახიობს, ვ. გუნიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენს სცენაზე.

არავითარი „ამპლუა“ არა სწამს, ამიტომ ყველა როლებს თამაშობს და, რა თქმა უნდა, ყველას არა ერთნაირის ელფერითა და ძლიერებით. ერთხელ დ. კეზელმა დაუწერა: „для полнаго завершенія цикла разнообразныхъ ролей г-ну Гуніа недостаетъ только сыграть еще и комическихъ старухъ“... ვალერიანის თამაშზე მუდამ აღბეჭდილია დიდი ჭკუა და გემოვნება. ამ უკანასკნელ მისს როლებში საუკეთესოდ ჩაითვლება: ოთარბეგი, ოტელო, შაჰაბაზი, ფოლგრატი, ნახმანი, გროსმანი, ტრასტი, ლიპარიტ ორბელიანი, არჩილ ლომაური და სხ.

ამ ჟამად ვ. გუნია ქუთაისშია. მიწვეული მთელის სეზონით თეატრის საქმის გამძღოლად, რომელსაც აწარმოებს, მნახველებისა და ჟურნალ-გაზეთების სიტყვით, ჩვეულებრივის სიმტკიცით და ცოდნით. ქუთაისში დღემდე თეატრის საქმე აგრე მაღლა და აგრე სერიოზულად არას დროს არ ყოფილა დაწყებული. ჩვენ ამაში ეჭვიც არა გვქონდა, თუმცა პირადად იმისი თბილისიდან წასვლის წინააღმდეგი ვიყავით.

როგორც ზევითა ვსთქვით, ამ თვის 25, ხუთშაბათს, ქუთაისში გაიმართება **ვალერიან გუნიას ბენეფისი,** რომელსაც საზოგადოება თურმე მოუთმენლად მოელის, რათა საჯაროდ გამოუცხადოს თავისი მადლობა და პატივისცემა იმ სამაგალითო მუშაობისათვის, რომლის მოწმედ ქუთათურები გახდნენ ამ სეზონში.

ჩვენის მხრით აქედან მხურვალე ვაშას და გულწრფელს სალამს ვუძღვნით „ჩვენს ვალიკოს!“

**უმცროსი ამხანაგი**

## რუსთა მსახიობნი

### † ვერა კომისარჟევსკაია

ამა წლის 10 თებერვალს ქ. ტაშკენტში სამუდამოდ თვალი დახუჭა რუსეთის ცნობილმა მსახიობმა ქალმა ვერა კომისარჟევსკაიამ.

დაჰკარგა ხალხმა სიხარული და აღტაცება, შესწყდა ნაკადი უმანკოებისა, დაუშო ფრთები აღმაფრენამ, ჩაქრა მზე სიყვარულისა — გარდაიცვალა ვერა კომისარჟევსკაია. რუსეთის თეატრმა დაჰკარგა თავისი შემოქმედი, ხოლო ქვეყნიურმა წმინდა საქმემ— მებრძოლი.

როგორც ყოველი დიდებული მსახიობი, მით უმეტეს ქალი, — კომისარჟევსკაია მოწმე იყო მრავალი ტანჯვისა, კიცხვისა და დევნისა, მაგრამ მისმა ნიჭმა უმაღლეს წერტილამდე მიაღწია და უკვდავ ჰყო მისი სახელი რუსეთის თეატრის ისტორიაში.

კომისარჟევსკაია ყველგან შეყვარებდა რუსეთის სცენებზე და ყველგან უხვად დასტოვა თავისი ღვთიური ნიჭის უკვდავი ნაყოფი, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავდა მთელი საზოგადოება. დღეს ყველგან გაისმის გლოვა, და გულქვა უნდა ჩაითვალოს ის ერი, რომელიც ხელოვნების მოტრფიალე იყოს და მწარედ არ ამოიოხრებდეს კომისარჟევსკაიასთანა დიდებული მსახიობის დაკარგვას.

ჩვენ, ქართველები, მოტრფიალენი ვართ თეატრისა, ხელოვნებისა; ჩვენცა ვგრძნობთ ნაკლსა კომისარჟევსკაიას სიკვდილითა და ამიტომ გულითადი მწუხარებით ვუერთდებით რუსეთის გლოვას და დავაფრქვევთ მწარე ცრემლს მის წმინდა საფლავზე...

მშვიდობით, ხელოვნების დაუღალავო მუშაკო, „უკვდავ იყო შენი სიკვდილი!“...

**მერცხალი**

**მ. გ. სავინას** სასცენო მოღვაწეობის მე 35 წლის **იუბილე** დანიშნულია ალექსანდრის თეატრში 23 თებერვალს, საღამოს 10 საათზე.

## ქართული თეატრი

**მარო მდივანის ბენეფისი** გაიმართა 7 თებერვალს. მ. მდივანი, მხნე, შრომის მოყვარეა და ამიტომ მისს ბენეფისს ხალხი ბლომად დაესწრო. წარმოდგენილ იქმნა შელომ აშის დრამა „შურის ძიების ღმერთი“ და ივ. გომართელის კომედია-ვოდევილი „დრამატიული გამგეობის წევრი“. ორთავე პიესამ რიგიანად ჩაიარა. ივ. გომართლის პიესა ერთობ მახვილად დაწერილი გამოდგა. მობენეფისემ რამდენიმე საჩუქარი მიიღო.

**ჟურნალ „ჯეჯილი“-ს ოცის წლის იუბილე.**

14 თებერვალს ქართულ თეატრში საიუბილეო დღესასწაული გაიმართა ქართულ საბავშო ჟურნალ „ჯეჯილი“-ს ოცი წლის არსებობის აღსანიშნავად. დღესასწაული ნაშუადღევის პირველ საათზე დაიწყო და ოთხ საათამდე გასტანა. იმის გარდა, რომ სხვა და სხვა ქართულ-სომხურ დაწესებულებათა და საზოგადოებათა წარმომადგენლებმა შესაფერი ადრესი მიართვეს ჟურნალის რედაქტორს, დაუღალავს მუშაკს ქ-ნ ანასტასია მიხეილის ასულს თუმანოვ-წერეთლისას, გამართულ იქმნა წარმოდგენა და კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ განსაკუთრებით ბავშვები. კარგი იყო აგრეთვე ცოცხალი სურათი: ქართველი დედაბავშვებ შორის, რომელნიც „ჯეჯილ“-ს კითხულობდენ. მთელმა დღესასწაულმა საუცხოვოდ ჩაიარა. კარგი იქნება ასეთი დღსეასწაული ღრთგამოშვებით მაინც იმართებოდეს, რაიცა დიდ სარგებლობას მოუტანს მოზარდ თაობას. ღიდი მადლობის ღირსი, არიან ვინც ითავეს და მოაწყეს ეს დღესასწაული

**ტასო აბაშიძის ბენეფისი**

შირვან-ზადეს პიესა „ნამუსისათვის“, რომელიც 14 თებერვალს ტასო აბაშიძის საბენეფისოდ წარმოადგინეს, მარტივია და საკმაოდ ცნობილ თემაზეა დაწერილია. ვტორი პიესაში ხაზგასმით აღნიშნავს ვაჭრების გაუმაძღრობასა და უსინდისობას, რომელნიც პირად ბედნიერებას სხვის მოტყუებასა და უბედურებაზე აშენებენ. ვაჭარს ანდრიას ელიზბარიანს ვაჭარ ოთარიანთან

საამხანაგო სავაჭრო საქმე აქვს. ოთარიანი გარდაიცვლება და ელიზბარიანი მისს ნაწილსაც დაისაკუთრებს. ელიზბარიანი ამხანაგის დაობლებულს ოჯახს ხან-დახან მოწყალების სახით ეხმარება და ჰგონია საქმე ამით გათავდება, რადგან დარწმუნებულია, რომ საბუთები ოთარიანის ქვრივს დაკარგული ექმნება. ქვრივს ვაჟი წამოეზრდება. სასწავლებელს ათავებს და რა მიიღებს დედისგან საბუთებს, დაუყოვნებლივ მოსთხოვს ელიზბარიანს მოტყუებით მისაკუთრებულ ქონების დაბრუნებას. ელიზბარიანმა იცის, რომ მისს ქალს მარგარიტას და ახალგაზრდა ოთარიანს ერთმანეთი უყვართ, ამიტომ ქალს შეაცდენს და ოთარიანისაგან საჭირო საბუთებს გამოართმევინებს. რომლებსაც, ბოლოს თვით იგდებს ხელში. მარგარიტა მამას ეხვეწება, საბუთები დამიბრუნე, რათა პატრონს გადავცეო, მაგრამ ამაოა მისი მუდარა. მარგარიტა შერცხვენილი გამოდის სატრფოსთან, ვერ ურიგდება ამ მდგომარეობას და თავს იკლავს.

თემა, როგორც ვსთქვით, არა ახალია,—ძველია. პიესის ტიპები ჩვენში საკმაოდ ცნობილნი და გამორკვეულნი არიან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ელიზბარიანის ვაჟს, უმაღლეს სწავლა-დამთავრებულს, რომელიც მთლად ვერცხლის მოყვარეობას ჩაუნთქავს და ქარხანას აშენებს დიდი საქმის დასაწყებად. ეს ახალი ჯურის კაპიტალისტი, რომლის ფიზიოგნომია ფართო მასსისთვის საკმაოდ გამოურკვეელია და, რომელსაც ქართველ-სომეხ დრამატურღთა კალამი ჯერ არ შეჰხებია. ამ პიესაში ერთობ მკრთალად არის დახასიათებული, მასში ვერ ვხედავთ სრულს, კონკრეტულ ტიპს თანამედროვე ბურჟუაზიისას, რომელიც თავისს ზნეობრივს გახრწნილებას და სულიერს არარაობას უმაღლეს საკაცობრიო სამოსელით ჰფარავს.

პიესა სცენაზე კარგი მოსასმენია და ამიტომ არც გასაკვირველია, რომ ამ ექვსიოდე წლის წინად, როდესაც სომხის ავტორმა ის გამოაქვეყნა, სომხურ დრამატიულ ლიტერატურაში დიდი ყურადღება და სიმპატია გამოიწვია. ასეთი პიესები ყოველთვის ღირსია დიდი თანაგრძნობისა და აღტაცებისა, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც ის იწერება და ამიტომ სამწუხაროა, რომ შირვან-ზადეს ნაწარმოებმა ქართულს სცენაზე, რომელიც სომხურ სცენასთან მჭიდროდ შეკავშირებულია და ორთავე ერთ ბედში იმყოფებიან, მხოლოდ დღეს მოახწია, დღეს, როდესაც, ვიმეორებ, პიესას, დროსა და გარემოების მიხედვით, პირვანდელი აზრი და მნიშვნელობა აუცილებლად დაკარგული აქვს.

მობენეფისემ მარგარიტას როლში ვერ დაგვაკმაყოფილა, რადგან მისს გაპიროვნებაში მსახიობს ჩვეულებრივი ნაკლი—დრამატიულ როლების შეუფერებლობა—თავიდან ბოლომდე თანა სდევდა.

ვ. აბაშიძემ (ან. ელიზბარიანი) კარგად შეასრულა გ. გედევანოვი (სალათელა) ამ საღამოს ნამდვილი ხელოვანი იყო, რომელიც თავის მოწოდების სრულ სიმაღლეზე იდგა.

ჩვეულებრივ კარგი იყო ახალგაზრდა მსახიობი დ. მგალობლიშვილი დარდიმანდ სურენას როლში. მსახიობმა ერთხელ კიდევ დაგვანახვა თავისი უცილობელი სასცენო ნიჭი, რაიც ნებას გვაძლევს მოვსთხოვოთ მას შრომა და კიდევ შრომა.

ბ-ნი ზარდალიშვილი, ეს ჭკვიანი და შრომის მოყვარე მსახიობი, კარგი იყო ბაგრატას როლში, მაგრამ აკლდა ის, რასაც ტემპერამენტი ჰქვიან და, საზოგადოდ, ამ საღამოს როგორღაც ცივად თამაშობდა.

დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდენ.

მხიარულმა ვოდ. „გულმა იგრძნო“ კარგად ჩაიარა. მობენეფისე ნუცას როლში შეუდარებელი იყო. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო. მობენეფისემ მრავალი საჩუქარი მიიღო.

### იუზა ზარდალიშვილის ბენეფისი

ბევრჯელ აღგვინიშნავს, რომ ზარდალიშვილი ნიჭიერი და მშრომელი მსახიობია. სულ რამდენიმე წლის განმავლობაში ქართულ სცენაზე საპატიო ადგილი დაიჭირა და ერთხელაც არ უმტყუნია თავის მოწოდებისთვის. ამისთვის ფრიად სამწუხაროა, რომ მისს საბენეფისო წარმოდგენას, 18 თებ., საზოგადოება ნაკლებად დაესწრო. მსახიობი, უეჭველია, არ იყო ღირსი ამ გვარი გულგრილობისა და დაუფასებლობისა, რომელიც მის მიმართ საზოგადოებამ გამოიჩინა.

პიესამ „დანაშაული და სასჯელი“ რიგიანად ჩაიარა. თვით მობენეფისე რასკოლნიკოვის როლში კარგი იყო. მან ბევრი მომენტები რასკოლნიკოვის სულიერ მდგომარეობისა სამაგალითოდ გადმოგვცა და, საზოგადოდ, ეტყობოდა, რომ მსახიობს შრომა და ჯაფა დაუხარჯავს, რომ რასკოლნიკოვის რთულ და ძნელ როლში საზოგადოების წინაშე პირნათლად გამოსულიყო.

მობენეფისემ საჩუქარი მიიღო. Ro-Ben

### ბ. მელიქიანის იუბილე.

ორშაბათს 15 თებ. არტისტ. საზოგ. თეატრში გარდახდილ იქმნა მსახიობ-ქალის ბ. მელიქიანის 25 წ. სასცენო მოღვაწეობის იუბილე დიდძალი საზოგადოება დაესწრო. მსახიობს მიულოცეს სხვა და სხვა წარმომადგენლებმა და საჩუქრები მიართვეს. პირველი სიტყვით მიმართა მხცოვანმა დრამატურგმა გ. ნ. სუნდუკიანცმა, რომელმაც მშვენიერი სიტყვა უთხრა სომხურ-ქართულად, და თვის სიტყვაში აღნიშნა სომეხ-ქართულ სცენის სოლიდარობა. ადრესი წაუკითხა აგრეთვე ქართ. დრ. საზოგადოების სახელით თ. ნ. დ. ერისთავმა.

რედაქ.-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი.**

Отдѣленіе скоропечат. „Прогрессъ“ Дворцовая ул., домъ груз. Дворянства.

# მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ

ქართული თეატრი

**დღეს**, 21 თებ, **ვლ. სარ. ალ.-მესხიშვილის ბენეფისეა.** წარ. იქნება **„შავი ბერი„**

პარასკევს, 26 თებერვალს

**ბენეფისი კ. მესხისა**

**ვლ. ალ.-მესხიშვილის** და მთელი დასის მონაწილეობით წარმოდგ. იქნება პირველად ახალი პიესები

**1. ხ ა ლ ხ ი ს ს ი კ ე თ ე**

სამს მოქ. თ. ზერცლისა თარგ, გრ. აბაკელიასი **სოლონის** როლს შეასრულებს **ვლ. ალ.-მესხიშვილი, ეზოპისას კ. აესხი.**

**2. სიკვდილი ნაპოლეონისა**

ერთს მოქმ. თარგ. გრ. აბაეკელიასი.

**ნაპოლეონის** როლს შეასრულებს **კ. მესხი.**

27 თებ. **კ. გვარაძისა** და **ივანიძის ბენეფისი: „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“.**

დასაწყისი 8 საათზე ადგილ. ფასი ჩვეულ.

**1910 წ. გამოდის სურათებიანი ჟურნალი**




წლიურად **5** მ. ნახ. წლით **3** მ. ცალკე ნომერი **10** კ. ხელის მოწერა მიიღ. დრ. საზ. კანტ., ი. იმედაშვილთან. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Контора Груз. Драм. О-ва. Іос. Зах. Имедашвили.

**დროება** ყოველდღიური სა-პოლიტიკო და სა-ლიტერატურო გაზეთი, კვირეული დამატებით. წლიური ფასი 8 მ. და 50 კ. ნახევარი წლით 4 მ. 80 კ. ერთი თვით 80 კ., ცალკე № 5 კ., დამატებით 7 კაპ. ხელის მოწერა მიიღება თბილისში „დროების“ კანტორაში და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქუთაისში: ის. კვიცარიძესთან, ხონში: გ. მებუკესთან, გორში: ს. შველიძესთან, [illegible]თურაში: ს. ტარუაშვილთან. ფული გამო-[illegible] Тифлисъ, ред. „Дроэба“, И. С. Агла-[illegible] გ. გედ[illegible] ლოვანი იყომცემელი **ი. ს. აგლაძე.**

სიმაღლეზე იდგა.

**ახალი სხივი** ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. წლიურად 7 მ., ნახევარი წლით 4 მ. საზღვარ-გარედ 14 მ. ნახევარ წლით 7 მ. სამი თვით თბილისში 2 მ. 20 კ., თბილის გარედ 2 მ. 50 კ. ერთი თვით 80 კ., თბილის გარედ 90 კ. ადრესი: რუსის ქ., № 3, ზემო სართული. Тифлисъ тип. “Шрома“ Кал. Коп. Цуладзе.

**მიიღება ხელის-მოწერა ორ-კვირეულ ჟურნალ ესპერანტოს ენაზე, სიტყვების და წინადადებების ქართულ, სოიხურ და რუსულ ენებზე განმარტებით.**

## „კავკასიის ესპერანტისტი“

ჟურნალის მიზანია ესპერანტოს ენის გავრცელება კავკასიის მცხოვრებთა შორის. სხვა და სხვა სტატიების გარდა, ჟურნალში მოთავსებული იქნება სისტემატიური გაკვეთილები ესპერანტოს ენის შესასწავლად რუსულ, ქართულ და სომხურ ენების შემწეობით. ჟურნალში პასუხი მიეცემა ყოველ კითხვაზე ამ ენის შესახებ ხელის მომწერლებს.

**წელიწადში ღირს 1 მანეთი.**

ხელის მოწერა მიიღება: 1) მიხაილოვის პრ. № 98 ძმ. ჰაჯიევების მაღაზიაში, 2) პუშკინის პასაჟი, ს. სოლომონიანცის ცინკოგრაფიაში, 3) კვირაობით, 11—12 საათ. 1-ლ სავაჟო გიმნაზიაში.

სხვა ქალაქებიდან: **Тифлисъ, Панасевича ул. № 1 Айку Тер-Аствацатрянцу.**

**НОВАЯ РѢЧЬ** ежедиевная общественно - политическая и литературная газета; подписная плата для городскихъ на годъ 7 р. на полгода 4 р. для иногородскихъ 8 „ 5 „ помѣсячно 75 к. адресъ: Тифлисъ, Дворцовая д. Груз. Дворян. ред. газ. „Новая Рѣчь“. Редакт.-Издат. П. А. Готуа.

**სხივი** ყოველ-კვირეული სალიტ. ჟურნალი. ფასი: 1 წლ. 5 მ. ნახევ. წლ. 2 მან. 50 კ., 1 თვით 50 კ., ცალკე № 10 კ. დამატებად მიცემა სტეპნიაკის მოთხრობა **„სახლი ვოლგის ნაპირზე“**. ჟურნ-ლის გამოწერა შეიძლება „მომავალის“ რედაქციაში—პ. კალანდაძესთან. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, типог. „Печатное дѣло“. Вельям. № 6, Пол Ан. Каландадзе.

Отдѣленіе [illegible]опечат. „Прогрессъ“ Дворцовая ул., домъ груз. Дворянства.